№ 149 ივლისი 14, შაბათი 1890 ივლისი 14, შაბათი № 149

# ივერია

გაზეთის ფასი

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія“ (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აჭელის ქუჩა, თ. გარანცოვის ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განცხადებ. სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ტფილისი, 13 ივლისი

ევროპა ლამის სამხედრო ბანაკად გადიქცეს. მილიტარიზმი ისე არასოდეს ყოფილა გაძლიერებული, როგორც ეხლა, თუმცა მინისტრები და თვით გვირგვინოსანი ხელმწიფენიც პარლამენტების მოქმედების დაწყების წინად არწმუნებენ ქვეყანას, რომ სულ იმის ზრუნვასა და ფიქრში ვართ, როგორმე მშვიდობიანობა დავიცვათ და სისხლის ღვრა ავიცილოთ თავიდანაო. მაგრამ ამ მშვენიერ და ჯიბე დაცალიერებულის მოხარჯეს გულის დამამშვიდებელის სიტყვების შემდეგ უსათუოდ მინისტრები გამოატყვრენენ ხოლმე ახალს პროექტს, ჯარს ამდენი კაცი უნდა მოემატოსო, რათა სრულიად უზრუნველი ვიყვნეთ გარეშე მტრისაგან და ამდენი ფულია საჭირო ახლად მოწვეულ ჯარების შესანახადაო. მთელი ევროპის ყურადღება მიქცეულია ეხლა ამ ახალ სამხედრო პროექტებზე. ჯარებს უმატებენ, აშენებენ ციხე-სიმაგრეებს და აკეთებენ სტრატეგიულის აზრით რკინის გზებს მარტო მოქიშპე დიდი სახელმწიფონი კი არა, არამედ იმისთანა სახელმწიფონიც, რომელთაც, საერთაშორისო ტრაქტატების ძალით, ნეიტრალიტეტი უნდა ეჭიროთ, მაგ., ბელგია და შვეიცარია.

ამ დიდს, ურიცხვს ჯარებს, რასაკვირველია, დიდი ფულიც უნდება სახარჯოდ. გაუძლებს ევროპის ერი ამ აუარებელ ხარჯს? აი საკითხი, რომელსაც უნებლიედ უფიქრდება ყოველი ნამდვილი მამულიშვილი და თვით ის სახელმწიფო მოღვაწენიც, რომელნიც სთხზავენ ახალ-ახალ სამხედრო პროექტებს და ათასის ხრიკებით, ძალდატანებით აკისრებინებენ ხოლმე ილაჯ გაწყვეტილს და არაქათ გამოლეულს ერს სამხედრო ხარჯს. „ჩვენი ქვეყანა, უთქვამს ამას წინად ავსტრო-ვენგრიის სამხედრო მინისტრ ბაუერს, ეხლა დასნეულებულია ჯანით. საჭიროა, ჯანი მისი გამრთელდეს, წამალი დაედოს. აწინდელი შეუფერებელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. საქმე ან ერის დაღუპვით უნდა გათავდეს, ან სრული მშვიდობიანობა უნდა ჩამოვარდესო“. ბ-ნმა ბაუერმა ბძანა ესა და, ვითომც აქ არაფერიაო, ახალი სამხედრო პროექტი წარუდგინა ერის წარმომადგენლებს დასამტკიცებლად. ბაუერმა ისიც დაუმატა, რომ ეს რაა, შემდეგში უფრო მეტი ფული დამჭირდება ჯარების უკეთესად მოწყობისათვისაო. ჯერჯერობით ერთი მილიონი ფლორინი მჭირდება უკვამლო თოფის წამლის სასყიდლადაო და პატარა ხანს უკან-კი ერთი ასი, ასიც მილიონი ფლორინი უნდა მომცეთო.

გერმანიამ ხომ ყველას გადააჭარბა. სამხედრო მინისტრი ბ-ნ ვერდი დიუვერნუა ემუქრება რეიხსტაგს, მთელი გერმანია უნდა შეითოფ-იარაღდესო. სახელ-განთქმული მოხუცი მეომარი გრაფი მოლტკე კიდევ სულ იმას გაიძახის: „ფული რა სათქმელია, როდესაც ჯარების განკარგებაზეა ლაპარაკი. მარტო ამოწვდილს მახვილს შეუძლიან ჩააგებინოს ქარქაშში მტერს ხმალიო“. გაკვირვებულნი და გაოცებულნი ერის წარმომადგენელნი, მწარედ დაღონებულნი, აძლევენ მთავრობას ნებას: აიღე რასაც თხოულობ, მაგრამ როდის მოეღება ბოლო ამ უკუღმართ მდგომარეობასაო, როდის ჩამოვარდება დაპირებული და ათასჯერ აღთქმული მშვიდობიანობაო?

მეთაურს თავისუფალ-მოაზრეთა დასისას, დეპუტატს რიხტერს, ამ დღეებში დაუბეჭდია ერთი პატარა წიგნი, რომელსაც დიდად უმოქმედნია საზოგადოებაზედ. რიხტერს გამოუანგარიშებია, რომ გერმანიამ თუ ასე უმატა ყოველ წლივ ჯარების რიცხვს, ათის წლის შემდეგ შეეძლება ომის დროს გამოიყვანოს 6,566,000 კაციო. ამოდენა ხალხის გამოსაკვებად გერმანიას მოუნდება წელიწადში ათას ხუთასი მილიონი მარკა და ერთხანობითაც დასჭირდება ორი ათასი მილიონიო. ამ საშინელმა ციფრებმა ისე გაუხეთქა გული საზოგადოებას, რომ კანცლერი კაპრივი და სამხედრო მინისტრი ვერდი დიუ ვერნუა იძულებულნი შეიქმნენ, დაემშვიდებინათ საზოგადოება. გული დაიმშვიდეთ, ეხლავე ხომ არა გთხოვთ მაგ ფულსაო. მაგ საგანზე იქნება ლაპარაკი ოთხის წლის შემდეგ და, მაშასადამე, საბუთიც არ არის წუხილისა და ჩივილისაო.

თუმცა იტალიას ლამის სული ამოჰხადოს სამხედრო ბეგარამ, მაინც სამხედრო მინისტრმა ბერტოლე-ვიალემ პალატას მოსთხოვა ათი მილიონი ლირი ჯარების მოსამატებლად. გაჭირებულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა დეპუტატი, საერო განათლების მინისტრად ნამყოფი, ბონგი, შეეტანა პარლამენტში საჩივარი, ვსთხოვოთ მთავრობას, იშუამდგომლოს სხვა დიდ სახელმწიფოებთან, თოფ-იარაღი აიყარონო. რასაკვირველია, ბ-ნ ბონგის საჩივარს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს-რა, მაგრამ ისიც კაი ნიშნად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ საჩივარს მიემხრო თვით მთავარ-მინისტრი იტალიისა კრისპი, რომელიც ასეთი ერთგული მეგობარი იყო ბისმარკისა და რომელიც ასე მხურვალედ მისდევდა მის ნარჩევს გზას.

პატარა სახელმწიფონი: დანია, რუმინია, ბელგია და ჰოლლანდია დროს არა ჰკარგავენ და, რაც შეუძლიანთ, წელებზე ფეხს იდგამენ და ხარჯავენ ფულს ქვეყნის გასამაგრებლად და მხედრობის გასაძლიერებლად, რომ კოზაკივით შუაში არ გაიჭყლიტონ, ვინიცობაა დიდ სახელმწიფოებს ჩხუბი და დავიდარაბა აუტყდეთ. მარტო რუმინიამ დახარჯა ასი მილიონი ფრანკი ციხე-სიმაგრეების ასაგებად რუსეთის საზღვარზე.

მხოლოდ საფრანგეთი არ უმატებს აგრე გაცხარებით მხედრობის რიცხვს, როგორც გერმანია, თუმცა იქაც ნაკლებად არა ჰზრუნავენ მხედრობისათვის. საფრანგეთმა ისეთი მომჭირნეობა გამოიჩინა წელს, რომ თუმცა 10,000 კაცი მოუმატა მხედრობას, მაინც 42 მილიონი ფრანკით ნაკლები დახარჯა შარშანდელზე. საყურადღებო ცვლილება საფრანგეთის მხედრობაში შეეხება უმთავრესის შტაბის მოწყობას. ამ შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალი მირიბელი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის მხედრობის წინაშე. მირიბელი დარჩება შტაბის უფროსად ომის დროსაც. ეს ალაგი ჰქონდა ამ გენერალს დაპირებული გამბეტასაგან, მაგრამ რადიკალები დიდ უარზე იყვნენ, რადგან გენერალი წინად მომხრე ყოფილა კონსერვატორებისა.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ბ-ნ ნ. ს.—ძეს გუგუშვილს შეუწირავს წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ ხუთი მანათი, რისთვისაც საპედაგოგიო საბჭო სკოლისა მადლობას უძღვნის შემომწირველსაო.

*** ამ დღეებში გამოვიდა კავკასიის საოლქო მზრუნველის 1889 წლის ანგარიში კავკასიის სასწავლებლების შესახებ. ეს წიგნი სულ 210 გვერდს შეიცავს.

*** [illegible], თავისი მუზეუმი ამ ზაფხულს ნიუ-იორკის ბაღში გამართოს. ბ-ნ როინაშვილის მუზეუმს ბევრ გვარი შესანიშნავი ისტორიული ნაშთი, სურათი და სხვ. დამთვალიერებლისათვის უფასოდ არ ჩაივლის. ამ მუზეუმის შემოსავალი ბ-ნ როინაშვილს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ დაუნიშნავს.

*** ეკატერინენფელდი: ბორჩალოს მაზრაში ავაზაკობა ისე ხშირია, როგორც ტყეში ფოთოლი და ზღვაში ქვიშა. ამ მაზრაში ყველას წელს ეკატერინენფელდის საზოგადოებამ გადააჭარბა ამ მხრით. დღე არ გავა, რომ კაცი არ მოკლან. რაც შეეხება ქურდობას, ძარცვას, დაწვას, ვაზის კაფვას, თითქმის ჩვეულებრივი საქმეა. ამ ორი-სამის კვირის განმავლობაში ოთხი სიღნაღელი ჩაფარი თავის უფროსით მოდიოდნენ ღამით ეკატე-

## ფელეტონი

### საერთო წყლული და მუწუკი

Ахъ! будетъ съ насъ купцовъ, кадетовъ,
Мѣщанъ, чиновниковъ, дворянъ,
Довольно даже намъ поэтовъ,
Но нужно, нужно намъ гражданъ!

*Некрасовъ*

I

თავისდა უნებურად მოადგება ბაგეზედ ადამიანს ეს ლექსი განსვენებულის ნეკრასოვისა თუ, ღრმად-კი არა, ოდნავ მაინც არის ჩაუკვირდა და მაჯა გაუსინჯა ჩვენს ცხოვრებას. მართლაც-და, აბა მიიხედ-მოიხედეთ, ჩათვალ-ჩაათვალიერეთ ჩვენი თანამემამულენი და აშკარად დარწმუნდებით, რომ ყველა ჯილაგისა, ხელობისა და ჯურის ხალხია, მხოლოდ ჭეშმარიტს ადამიანს, მოქალაქეს-კი დიოგენის ფარნითაც-კი ვერსად მოჰხელავთ, თუნდა სამას სამოც-და-სამი წელიწადი იაროთ და ქვეყნის სულ უმცირესი კუნჭი-პუჭახიც-კი არ დასტოვოთ გაუსინჯავ-უნახავი. ვაჭარი რამდენიც გნებავდეთ, იმდენი გახლავთ, მოხელე ბევრია, თავადი და აზნაური—მრავალი, პოეტი ხომ—მრავალთ-უმრავლესი, ხოლო მოქალაქე-კი, ჩვენდა ვაით და ვაგლახად, არსად, სულ არსად ჰქანებს.

იქ კი, სადაც მოქალაქე არ არის, იქ არც საზოგადოებაა, სადაც საზოგადოება არაა, იქ ერსაც ძირი ფესვშივე გამოხრილი და გამოჭმული აქვს. ადამიანი, მოქალაქე, საზოგადოებად წოდებულ კრიალოსანის მარცვალი და მარგალიტია და ერი კიდევ ის ძაფი, რომელიც ამ მარგალიტს ერთად უყრის თავს, თავის შორის საუკეთესოთ ირჩევს და აკავშირებს, ამ მარგალიტად ასხმულის ტოტით თავი მოსწონს და მით სულდგმულობს. მაშასადამე, სადაც მარგალიტი, მძივი არ მოიძებნება, იქ არც კრიალოსანსა ჰქონია ალაგი, და უკრიალოსნოდ-კი ძაფი ვერაფერი ბედენა საქონელია და სულ მცირე ნიავიც-კი ადვილად აითრევს და აწეწ-ახვლანჯავს.

ერის, კაცთა კრებულის მაჯის ცემა, სიცოცხლის სისუსტე და სიძლიერე იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა ყოფაშია ამ ერის საერო დაწესებულებანი, რამდენად არის პატივცემული ის ნიჭიერი, ის რჩეული და ზენაარით მომადლებული, თანამემამულეთა მიერ სათაყვანებელი კაცი, რომელიც ამ ერის სისხლისა და ხორცისაა, მისგან შობილა, მისის სახელის განსაბრწყინვალებლად და განსახიერებლად მოვლენილა ამ ქვეყნად.

ქართველობაც ხომ კაცთა კრებულია, ერია, ამ ერსაც, რასაკვირველია, თავისი მაჯა ექმნება და ამ მაჯის ძარღვიც ან ძლიერადა სცემს, ან სუსტად. თქმა არ უნდა, თუ ქართველობა მთელი ერია, მისი მაჯა საერო დაწესებულებანი უნდა იყოს და ეს საერო დაწესებულებანი-კი, როგორც მოგეხსენებათ, ისე მცირეა რიცხვით, რომ ერთის ხელის თითებზედაც-კი ადვილად ჩამოითვლება: ჟურნალ-გაზეთობა, თეატრი, ქართული საერო ხორო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება და... მორჩა და გათავდა, ეს არის და ეს.

ჩაუკვირდით აქ ჩამოთვლილ საზოგადოებათა და დაწესებულებათა მდგომარეობას, ამ ქართველის ერის ძვალ-ლუკუმათა ვითარებას და გული მწუხარებით შეგეკუმშებათ, არსად შეჰხვდებით იმისთანა სანუგეშო ამბავს, რომ თავისუფლად, სასიამოვნოდ შეგეძლოთ ამოსუნთქვა, ოთხივ-კუთხივ უნუგეშობა, უარარაობა და ულაჯობა აგეკიდებათ თვალებ წინ და უიმედოდ აგიძგერებთ გულსაცა და გონებასაც: ჟურნალ-გაზეთობა ვაგლახს მდგომარეობაშია, „თეატრი“, მაგალითებრ, არც მკვდარია და არც ცოცხალი, „ჯეჯილს“ იმდენი შემოსავალიც არა აქვს, რომ გამოცემის ხარჯი დაჰფაროს და გამომცემელი, შრომის ჯილდოს ალაგის მაგიერ, თავისის საკუთარ ჯიბიდგან აყრის ფულს, რომ ჟურნალი არ მოაკლოს მკითხველებს («ივერიისას» არას ვიტყვით). თეატრი ისეთს სამწუხარო მდგომარეობაშია, რომ უარესისაგან ღმერთმა დაგვიხსნას და დაგვიფაროს. ქართულს წარმოდგენებზედ ორი ქართველი არ დადის, ახალი არტისტები არსადა სჩანან, სასცენო ხელოვნებას არავინა ჰკიდებს ხელს, რადგან ვინც არიან, ისინიც ნახევარზედ კუჭ-ცალიერნი სხედან და შრომის მესამედიც ვერ აუღიათ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სულ ხუთიოდე წევრი ჰყავს და ამ ხუთსაც თავის დროსა და ვადაზედ არ შეაქვს ფული, უსახსრობით საზოგადოებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, მარტო იდენ სახელით-ღა სულდგმულობს და სახრავისთვის ხელი ვერ გაუნძრევია, ვერა გაუკეთებია-რა. ქართული საერო ხორო ვაგლახად ღონღიალობს და სამადლოდა სცხოვრობს. უკანასკნელად რატილის მიერ გამართულს სამს კონცერტს სამი ქართველი არ დასწრებია. დრამატიული საზოგადოება ხომ სახსენებელიც არ არის, ეს საზოგა-

რინეფენლდისკენ. ქვებს რომ მოახლოვდნენ, ჩამოხდნენ ცხენებიდგან და ცხენებს საძოვარი მისცეს. ამასთანავე თუმცა თითონაც დაისვენეს, მაგრამ ცხენებს ყურს უგდებდნენ. სად არის და სად არა, გაჩნდება ერთი ახლო სოფლის თათარი და მოსტაცებს ამათ ორ ცხენს. გამოუდგება ერთი და უყვირის: „კაკო, რას შერები, ხუმრობ თუ მართლა მიგყავს“; გზაში მალე შეეყრებიან ორი მინდვრის ყარაული, რომლებსაც უყვირის, დაიჭით, ცხენები გააპარაო, მაგრამ თათარმა მაინც არხეინად მოაფარა ცხენები ტყეს და, შეეცოდა, თუ რაღაცა პატრონი, მხოლოდ ერთი ცხენი გამოუშვა. დაკარგული ცხენი მეორე დღეს იპოვეს წამყვანის ხელში.

*** იქიდამვე: ზემოხსენებულს გზაზედვე მოხდა შემდეგი: ხუთი მგზავრი მოდიოდა, მათში თვით პოლიციის წარმომადგენელიც. განთიადისას შემოეყარათ ორი კაცი, რომელნიც ერთს ცხენზედ შესკუპულიყვნენ და ხუთს ხარს მიერეკებოდნენ ზემოდ. ორთავე შეიარაღებულები იყვნენ. როდესაც მგზავრებმა ეჭვი აიღეს ამ ორს კაცზედ, ესენი წმინდა წყლისანი არ უნდა იყვნენო, მით უფრო, რომ აღკრძალულის სისტემის თოფები აქვთო, ერთმა მგზავრმა დააპირა ამათი დაჭერა და თოფის წართმევა და, როგორც წასწვდა დასაჭერად, მაშინვე უკან მჯდომმა ისკუპა და გადაეშვა ცხენიდგან: დაეშვა ყანებზედ ტყისკენ, უკან გამოუდგნენ ორი ცხენოსანი, მაგრამ არ იქნა და მაინც ვერ დაეწივნენ ქვეითს. გაქცეული უეცრივ გაქრა ქაჯივით. ამავე დროს დანარჩენები მისდევდნენ მეორე ქურდ-ბაცაცას, მაგრამ იმანაც მალე უშველა თავს, და ეს ამოდენა ხალხი ხახამშრალი დარჩა. მათ შორის ერთი აქ გამოჩენილი მსროლელია, მაგრამ გაჭირების დროს-კი ვერ გამოიყენა თავისი ხელოვნება. ამბობენ, იცოდნენ ამ მგზავრების გავლა და ის ორნი განგებ დაუხვდნენ, აბა რას გვიზამენო. ხარები დააყრევინეს. მეორე დღეს პატრონმა წაიყვანა ხარები. ქურდები ვერ იპოვეს.

*** სოფ. ნოქალაქევი (სენაკის მაზრა): 6 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ, სოფ. ნოქალაქევში შემდეგი უბედურება დატრიალდა: ორი აქაური მცხოვრები სამუშაოდ ყოფილან მინდვრად ყანაში; 5 საათზედ ცა მოღრუბლულა და უცებ წამოსულა საშინელი წვიმა; წვიმას თან მოჰყვა ელვა ქუხილით; შეშინებული გლეხები იქვე ახლოს კაკლის ხის ძირში მისულან თავ-შესაფარად, ამ დროს უცებ დაუჭექნია და იქვე ახლოს ხურმის ხეს დასცემია მეხი, მეორედ კიდევ თხმელის ხეს დასცემია და ძალზედ დაუმტვრევია, მესამედ უჭექნია ცას და მოხვედრია კაკლის ხეს. ამ ხის ქვეშ შეფარებულნი დაცემულან უგრძნობლად. ერთს მაშინვე განუტევებია სული, მეორე-კი მოსულიერებულა, ამდგარა, და რაკი თავისი ამხანაგი მკვდარი დაუნახავს, გულშემოჰყრია, უკივლია, მიშველეთო, და იქვე დაცემულა. ყვირილი შესმენიათ მინდორში მყოფ გლეხებს, მოსულან და ერთი მკვდარი და მეორე ცოცხალ-მკვდარი კაცები-კი დაჰხვედრიათ. ამბობენ, მეორეც ველარ მორჩებაო.

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა): აგერ ერთი თთვე არის, რაც აჭარაში ნამი არ ჩამოვარდნილა. ნათესი, ნაადრევი სიმინდი სულ ერთიანად დაიწვა და ნაგვიანევისა ჯერ არა ვიცით-რა, როგორ რა იქნება. სიცხეები დიდია. კვერცხი რომ დასდვა დედამიწაზე, ხუთ წუთში შეიწვის. შუადღის უკან ადამიანს ნახევარ ვერსის გავლა არ შეუძლიან. ამ ცოტა ხანში თუ წვიმა არ მოვიდა, თქვენი მტერი, აჭარა სულ ერთიანად დაიმშევა. შვიდს ივლისს იყო წვიმა, მაგრამ სიმინდებს არაფერი საშუალება არ მისცა.

*** იქიდამვე: მადნების ჩხრეკას მაინც თავს არ ვანებებთ აქეთ. საცა შავი და ან წითელი ქვა იპოვეს, მოხვეტეს და წაიღეს. ახლა კიდევ ამბობენ, რომ ხუსეინ-ბეგ შარვაშიძემ იპოვა ერთი კარგი მადანიო, მაგრამ არ ვიცით-კი, რამდენად მართალია ეს ამბავი.

*** მცხეთა: 6 ივლისს მცხეთაში შემდეგი უბედურება მოხდა. მცხეთას გაღმა დუქანში მოსულიყო ვიღაც მგზავრი, რომელსაც არაგვში სდომნოდა გამოსვლა. მგზავრს ეთხოვნა მედუქნისათვის, რომ ბიჭი მიშოვნე, წყალში გამიყვანოსო. მედუქნეს ეპასუხნა, ბიჭი არავინა მყავსო. ამ დროს აქ შეწრებოდა მცხეთაში მცხოვრებელი ნალბანდი იაგორა, რომელსაც ეკისრა მისი წყალში გამოყვანა. შამსხდარიყვნენ ცხენებზე და გამოსულიყვნენ მშვიდობით. შემდეგ იაგორა ისევ დაბრუნებულიყო უკანვე, წყალში გასასვლელად, მაგრამ ნასვამი ყოფილიყო და ისეთ ალაგას დაარჩო არაგვმა, საცა ყმაწვილებიც-კი ადვილად გადიან.

*** იქიდამვე: არ გაიარა ორმა დღემ, რომ ამ უბედურებას ზედ დაერთო მეორე უბედურებაც: მცხეთის რკინის გზის სადგურში დედას გაეცხელებინა წყალი თავის პატარა შვილის საბანებლად. ქვაბი გადმოედგო და შემდეგ შებრუნებულიყო მეორე ოთახში, ცივის წყლის მოსატანად და გაცხელებულის წყლის გასანელებლად, მაგრამ ის თქვენს მტერს, რაც დაბრუნებულს დედას დაენახა: ბავშვი, რომელიც მარტოკა იყო იმ ოთახში, საცა ცხელი წყალი დაედგა, ჩავარდნილიყო შიგ და სულ ერთიანად გაფუფქულიყო.

*** ახალ-სენაკი: არა ერთხელ გაგვიგონია და წაგვიკითხავს კიდეც, რომ სხვა-და-სხვა ქალაქსა თუ დაბაში მეეტლები და მედილიჟნეები ურიგოდ ეპყრობიან მგზავრებსო და იმდენს ახდევინებენ, რამდენსაც თითონ მოისურვებენო. ასეეა სწორედ ჩვენს ახალ სენაკშიაც. ახალ სენაკიდამ ზუგდიდამდე ორი-სამი დილიჟანი დადის. მედილიჟნეები ერთსა და იმავე გადაჭრილს ფასს არ ახდევინებდნენ მგზავრებს; ფასის რაოდენობა ამათ ნებაზეა დამოკიდებული. დღეს რომ სამ აბაზს გამოგართმევენ, ხვალ ან ზეგ მანეთს გადაგახდევინებენ. ხან ისეც იციან, რომ არ გეაჭრებიან, ჩაგსვამენ დილიჟანში, და როცა 5—7 ვერსს გაგატარებენ, გეტყვიან, ამდენი მომეციო, თუ არა და ჩამობრძანდიო. რას იზამ, უნდა დაჰყვე ნებას.

*** ფოთი: საგაისოდ ფოთში ქალაქის თავის და ხმოსნების არჩევანი უნდა მოხდეს. კენჭის ყრას აპირობენ თურმე: ა. პ. ბეხმეტოვი (რომელიც ფალკენჰაგენის დროს ფოთის ნავთ-სადგურის აგების საქმეს განაგებდა და 1889 წ. კავკასიის გამოფენის კომისარად იყო ამორჩეული); ი. გ. ვახრამეევი (გენერალ-მაიორი, პირველი თავი ქ. ფოთისა და ახლა-კი ქ. გორისა); ნ. ბ. ლოლობერიძე (რომელიც ჯერ ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად იყო, მერე იქვე უფროსს ნოტარიუსად დაინიშნა, შემდეგ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მმართველად ამოირჩიეს და ახლა შავის-ქვის შეძლებული მწარმოებელია); თავ. დ. ე. დადიანი (რომელიც ჯერ გაზ. „შრომი“-ს რედაქტორი იყო და მერე ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მმართველი); თავ. ნ. ა. თავდგირიძე (ეხლანდელი თავი ქ. ფოთისა) და სამხედრო ინჟინერი ნ. ა. შავროვი (რომელიც უწინ ფოთის ნავთ-სადგურს აშენებდა და ახლა გაზ. „Кавказъ“-ში თანამშრომლობს).

*** ტფილისის მაზრის სოფელ წინწყაროდგან სწერენ გაზ. „Кавказъ“-ს, რომ აქ რაღაც საქონლის ჭირი გაჩნდა, 130 დაავადებულ საქონელში უკვე 43 იმსხვერპლა და არ ვიცით, რა უნდა იყოს ეს ჭირიო.

*** 12 ივლისს, ნაშუადღევის 6 საათზე, ნიკოლოოზის ქუჩაზე, ფედოტოვის სახლში, აგურის კედელი ჩამოიქცა, ედიგაროვის სახლის დერეფანს დაეცა და ჩაამტვრია დერეფნიცა და სახლის ნახევარი ჭერიც. კაცი არავინ დაღუპულა. პოლიციამ ჯეროვანი განკარგულება მოახდინა, რომ უბედურება აღარა მოხდეს-რა. რადგანაც მეორე კედელიც ჩამოწოლას აპირობს, მდგმურები დაითხოვეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პროვინციელ კორრესპონდენტების ბედი სწორედ შესაბრალისია. დასწერს თუ არა რომელიმე პროვინციელი კორრესპონდენტი ორიოდე სიტყვას და საიდუმლოს ოდნავ მაინც ფარდის ახდას მოუნდომებს, დიდი და პატარა, უცოლო და ცოლიანი იმას მიესევა ხოლმე და ვაი იმის ტყავს!.. უფრო უარესი დღე ადგებათ წერის მცოდნეთ, თუ კორრესპონდენციით გულ-გამწყრალებმა ნამდვილად არ იციან რედაქციაში მომწერის ვინაობა; ხან ერთს წაავლებენ ხოლმე ხელს და ხან მეორეს. აი, ასეთი ამბავია თურმე ეხლა ლენქორანში. ამას წინად გაზ. „Каспій“-ში რამდენიმე წერი[...] იყო დაბეჭდილი ლენქორანიდ[...] სხვათა შორის, ხუთის თი[...]ვით უამბობდა მკითხველს დამ[...]რი იქაურ ექიმთა ალიან-ფალიანსა და ავან-ჩავანს. კორესპონდ[...]ციას ქვეშ Index-ი ეწერა თურ[...] პსევდონიმად და ბრაზ-მორეულ[...] ექიმებმა ვერ შეიტყეს იმის ვინა[...]ბა. ეხლა დარბიან ეს ესკულაპ[...] ღირსეული ძენი და ხან ერთს ემ[...]ქრებიან, ხან მეორეს; ხან ერ[...] პეტრესა და ივანეს წააწყდები[...] შენ უნდა იყოვო, ხან მეორ[...] აი ერთი ამისი სურათი იმავ „Ка[с]пій“-ში მოთხრობილი:

ქუჩაზედ არხეინად მოდიოდა ერ[...]ავანე და ამ დროს ვიღაც ბრგე კ[...] აეყუდა წინ.

— ეგ თქვენა ხართ „Каспій“[...] კორესპონდენტი?

— მ?!!

— თვალები რას გამოაჭყიტ[...] ნამდვილად ვიცი, რომ Index-ი [...]ნა ხარ და ამიტომ ადრევე გაფრ[...]ხილებ, მოწყალეო ხელმწიფევ, რ[...] კრკალსავით მოგხრი, ნაცარტუტ[...] გაგცევ, თუ კიდევ გაგიბედნია რ[...] ჩემ წინააღმდეგ... გესმის!..

მეორე სურათი:

კლუბის დარბაზში ვიღაც ექი[...] შემოვარდა უეცრად:

— „Каспій“ მომეცით!.. ს[...] არის „Каспій“?

შეიშნა ბოლოს გაზეთი, წამოა[...]ლო ხელი, საჩქაროდ გადაათვალიერ[...] და მოურიდებლად რედაქციას ლაზ[...]თიანად მაგარ-მაგარი შეუგურთხ[...] დაჭმუჭნა გაზეთი და კედელს მი[...]ხეთქა...

აი მხეცები წამოუფრთხია, რ[...]გორც ეტყობა, გაზ. „Каспій“-[...]

**

ამას წინად ფინლიანდიის გაზ[...]თები იუწყებოდნენ, რომ ფინლიან[...]დელებს განზრახვა აქვთ, პეტერ[...]ბურგში თავიანთი საკუთარი გაზეთ[...] გამოსცენ რუსულს ენაზეო. ე[...] სურვილი არ გაუხორციელდათ[...] ვგონებთ მთავრობამ არ დართ[...] ნება. ეხლა გაზ. „Московскія Вѣдомости“-ს სიტყვით, ვიღაც ფინლიანდელს კაპიტანს, გვარად ფრაზერს

ფინლიანდიის სეიმში თხოვნა შე[...]უტანია, რომ ჰელსინგფორსში გა-

---

დოება არც არის და არის კიდეც, უფრო-კი არ არის, რადგან მთელი ზამთარ-ზაფხული ისე გაივლის, რომ იმის ამბისა გაგონებითაც-კი არა გაეიგონოთ-რა ხოლმე.

ან განა ერის წარმომადგენელთ, რჩეულთა და ნიჭიერ კაცთ, ერის მარილთ-კი სიკეთე აყრიათ? საბრალო წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი სულს ძლივს ითქვამს და თუ ითქვამს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს კაცს თავი გამოუდვია, მსხვერპლად შეუწირავს თავის სიცოცხლე და იმას აკლავს. ბაქრაძე გარდაიცვალა და ორმა მილიონმა ქართველმა 700 მანათის მეტი ვერ გამოიღო განსვენებულის პატივსაცემლადა და იმის ისტორიულ თხზულებათა დასაბეჭდად. არც ერთ ქართველის ერის მწერალის თხზულება არ არის სრულიად დაბეჭდილი და დაფასებული, იმის ცხოვრება ხომ ბნელშია და სავსებით არც ერთის ვინაობა არ ვიცით. წარმოიდგინეთ, დავითაშვილის ლექსებსაც-კი ვერ ეღირსა გამოცემა, თუმცა ამ საქმეს სულ რვა-ცხრა თუმანი ფული დასჭირდება. ამ საგნისათვის ხუთის თუმნის მეტი ვერ მოაგროვეს და ისიც თვალით არსადა სჩანს. არც ერთს მოსწავლეს და, არამც თუ მოსწავლეს, არა-მოსწავლესაც-კი რიგიანად არ აქვს შესწავლულ-გაცნობილი ჩვენი ნიჭიერი მწერლები, ბარათაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხ.

ქართულს ჟურნალსა, გაზეთსა და წიგნს მკითხველი თანდათან თითქოს აკლდება, ასე გონია ქართველთა რიცხვი, ბუნების წინააღმდეგ-კი, არა მატულობს, კლებულობსო. რუსთაველის ტკბილს ენას იშვიათად თუ გაიგონებთ სადმე. ოჯახებში ძუძუ-მწოვარა ბავშვებსაც-კი სხვა ენაზე ესაუბრებიან, თითქოს აკვანშივე უნდათ ანდერძი აუგონ სამშობლო ენასაო. ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ასე აღზრდილი ახალგაზდობა დედაენას არავითარს ყურადღებას არ აქცევს და არა სცდილობს თავის მშობლიური ენა, თავის ერის ისტორია და ლიტერატურა შეისწავლოს. როგორც გვითხრეს, ჩვენს გიმნაზიებში მოსწავლე ქართველნი ქართულს გაკვეთილებს დიდის უგულობით ისმენენ, თავს არიდებენ იმის სწავლას და უფრო ფრანგულსა და გერმანულს ენას ეტანებიან, ვიდრე ქართულს. ქართული ენა ისეც შევიწროებულია ამ გიმნაზიებში, მხოლოდ მეორე, თუ მესამე კლასამდე ასწავლიან, და აქაც შვიდსა თუ რვა მოსწავლესა ჰხედავს მასწავლებლის თვალი, დანარჩენები ვერ იცლიან (?). რასაკვირველია, ამათი სწავლაც ვერაფერი სწავლაა, მასწავლებელსაც გული გატეხილი აქვს და უხალისოდ ასწავლის და მოსწავლეებსაც თვალი და ყური დანარჩენ, უკადრისა ამხანაგებისაკენ მიურბით.

აი პირ-უთნეველი სიტყვები, შეუკაზმავ შეუხამებელი სურათი ჩვენის არსებობისა, ქართველთა ცხოვრებისა, ამ ერის მაჯის ცემისა. ვერ იქნა და ვერა, წელში ვერ გავსწორდით, თავი ვერ ავიმართეთ მაღლა, მოვდივართ და მოვეტერით ჩვენს სიცოცხლეს, ჯერ სულ არა გვაქვს-რა და რაცა გვაქვს, ისიც ვაინაჩრობით ჰსულდგმულობს. ჩვენი ცხოვრება იმ თავიდგან ამ თავამდე, ათადან ბაბადგან მოკიდებული, ასკინკილაზედ დახტის და არ იქნა, ორივ ფეხით სიარული, ფეხში გამართვა არ გვეღირსა.

რა არის ამ გათახსირების მიზეზი, სად იმალავს თავს ის წყლული და მუწუკი, რომელიც ვერ იქნა, ვერ გამოირწყო, ვერა ემკურნალა-რა, ნესტარი ვერ დაეკარა, მჭამელად გადაქცეულა და სულ ერთიან გვიპირებს აღგვასა და დანაცრებას, ფერფლად ქცევას. უფულობაო, იტყვით, მაგრამ ვერაფერი მოსატანი მიზეზია. გული გულობდეს, ქადა ორივ ხელით იჭმევაო, ნათქვამია, სურვილი და ნდობა იყოს, თორემ მთას გადააქცევს და ზღვას გადააშრობს ადამიანი. ორმა მილიონმა ქართველმა კაცის თავზედ ორ-ორი მანათი რომ გამოიღოს წელიწადში, რა ფულია, მაგრამ ამ მცირედითაც ოთხი მილიონი შესდგებოდა და ცოტად თუ ბევრად ემალამებოდა ჩვენს წყლულს, ჩვენს მწერლობასა და თეატრისა და სწავლა-განათლების საქმეს ფეხზედ დააყენებდა.

უფულობა რა სახსენებელია, როცა ყოველი ჩვენგანი ქეიფისა და ლხინის დროს ჩიტის უკან თეთრ აბაზიანებს ისვრის. აბა საღამოობით დაუარეთ ტფილისისა და თუნდა სხვა ქალაქის ბაღებს და მაშინ დარწმუნდებით, უფულობაა მიზეზი, თუ უგულობა. ისე ნაბიჯს ვერ გადასდგამთ, რომ „მრავალ-ჟამიერი“ არ მოგესმათ ღვინის სმით დახრიანწიალებულისა და დაბოხებულის ხმით. თუ ფული არ არის, მაშ უფულოდ ყოფილა ყველაფერი, ღვინოც უფულოდ უსვამთ, ზურნაც უფულოდ უკრავთ. ვინ ამბობს, ულხინოდაც ვერ გასძლებს ადამიანი, მაგრამ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს, წელიწადი—თორმეტი თვე ნუ იქეიფებენ და ერთის თვის საქეიფო ფული ქართულს თეატრში წასვლასა და ქართულის ჟურნალ-გაზეთისა და წიგნების გამოწერას მოახმარონ-რა, ღმერთი უწყენთ?!

უფულობა რომ იყოს მიზეზი, ვი[...]რა ეთქმოდა, რაც არ არის, რა ეშველება, არარაისგან არარაივე იქმნების, მაგრამ ჩვენს წყლულსა და მუ-

ზეთი მინდა გამოვცე რუსულს ენაზედ, და ნება დამრთეთო. უეჭველია, ამ ხელად ნება-რთვას არ დაუგვიანე, ბ-ნს ფრაზერს, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ როცა ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა რუსმა (ბ-ნმა ქსსონოვმა) სენატს ფინლიანდიაში გაზეთის გამოცემის ნებართვა სთხოვა, პასუხად ის მიიღო, ფინლიანდიაში რუსულს ენაზედ გადაბეჭდილ გაზეთის შესახებ ფინლიანდიის კანონებში არაფერია ნათქვამი და ამიტომ ნებას ვერ დაგრთავთო.

ფინლიანდიელები ისე აღმაცერად უყურებენ ყოველსავე რუსულს, რომ ადვილად შესაძლებელია ეხლაც არ დართონ ნება, თუმცა ბ-ნი ფრაზერი იმათი თანამემამულეა!..

**

მოსკოვში, გაზ. „Новое Время“-ს მეფელეტონეს სიტყვით, ერთი ახირებული ძველი არზა უპოვნიათ. დაწერილია ვიღაც პორუჩიკის შიპოვის მიერ. აი შინაარსი:

ამას წინად თხოვნა შემოვიტანე, რომ კაჭარმა გორბუნოვმა შეურაცხება მომაყენა-მეთქი. ეს შეურაცხება, როგორც მოგეხსენებათ, ის გახლავთ, რომ კაჭარმა გორბუნოვმა, იმის ცოლმა და მათმა სრულ-წლოვანმა ქალიშვილებმა ჩემი ქათამი მიითვისეს. პოლიციამ უკვე გასინჯა იმათი საქათმე, მაგრამ ჩემი ქათამი იქ აღარ აღმოჩნდა. ჩემს თხოვნას უნდა დავსძინო, რომ იმ ქათამში ერთი მანეთი მქონდა მიცემული და ყოველ დღე სდებდა დიდრონს კვერცხს, მხოლოდ კვირაში ერთს დღეს ისვენებდა. მაშასადამე, გორბუნოვებს რომ ძალის-ძალათი არ მიეთვისათ, 4 აგვისტოდგან 1847 წ. 4 ნოემბრამდე 48 კვერცხს დასდებდა ის ქათამი, ხოლო დეკემბრიდგან 1 მარტამდე—72 კვერცხს. ეს ქათამი კრუხად რომ დამესვა და 20 კვერცხი შემეწყო...

კმარა, ამ ოცრო-ბოდლოთი თავს აღარ მოვაწყენთ მკითხველს. ვიტყვით მხოლოდ, რომ დასასრულ შიპოვი ამტკიცებს: 1850 წელს იმ ერთის ქათმის წყალობით 3,036 სხვა ქათამი მეყოლებოდა და 693,000 კვერცხი მექნებოდაო, სულ 4,567 მან. 20 კაპ. ღირებული, და გთხოვთ ეს ფული გადაახდევინოთ ბრალდებულსაო. აბა შარი თუ გინდათ, ეს არის, აი!..

## უცხოეთი

საფრანგეთი. 2 ივლისის საერთო დღესასწაულობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ მცირეოდენმა დასმა ბულანჟელებისამ სცადა წესიერების დარღვევა, მაგრამ პოლიციამ მალე გაჰფანტა ჯგუფად შეკრებილნი და არც ნება მისცა სიტყვების წარმოთქმისა და ყრიამულისა.

— ჯარის აღლუმიც, რომელიც ჩვეულებრივ ამ დღეს არის ხოლმე ლონშანის მინდორზე, დიდად ესიამოვნათ პარიჟელებს. გაზ. „Temps“-ი ამბობს ამ აღლუმის შესახებ: „ამ ათის წლის წინად ყველა კორპუსებმა გამოჰგზავნეს ამ დღისთვის თავისი დელეგაციები პარიჟში ახალის დროშების მოსაღებად საერო წარმომადგენელთაგან. ამ დღისთვის გათავებულ იქმნა 19 კორპუსის მოწყობა და სრული შეთოფ-იარაღება. ამოდენა საქმის გაკეთება დიდი ამბავი იყო, მერე თუ მივიღებდით მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იმას წინად ჩვენი მხედრობა სრულიად უძლური და მოუწყობელი იყო. მაგრამ რაც მაშინ გაკეთდა, მით ჯერ კიდევ თავის გამოდება არა გვმართებდა. გაკეთდა მხოლოდ ის, რაც აუცილებლად საჭირო იყო საფრანგეთის არსებობისათვის. გამბეტამ კარგად სთქვა მაშინ: „ეხლა ჩვენ შეგვიძლიან დავიფაროთ თავი ჩვენი, საჭიროა მალე ისიც შევიძლოთ, რომ ვძლიოთ კიდეც მტერსაო.“ გამბეტას თქმა მართალი იყო. ამ თქმას მიჰყვნენ და აი ჩვენი მხედრობის ძალა მას უკან თან და-თან უფრო მატულობს და სიმტკიცეში შედის. ამიტომ არის, რომ ლონშანის აღლუმი ყოველ წელს ასე დიდად ასიამოვნებს ხოლმე პარიჟელებს, რომელნიც მრავლად იკრიბებიან აღლუმის სანახავად და გასაგებად, აბა წელს როგორ დაგვხვდება ჩვენი ჯარიო. ყველამ იცის, რომ ჩვენი მხედრობა იმისთვის ემზადება, რომ სძლიოს, გაიმარჯვოს და ამიტომ თითოეულს ფრანგს სურვილი აქვს გაიგოს, ამ განვლილის წლის განმავლობაში უკეთესობა რამ დაეტყო თუ არა ჯარსაო. მართლაცა და მას უკან, რაც ჯარებს დიდის ამბით დაურიგდა ახალი დროშები, ერთი წლიწადიც არ გასულა ისე, რომ ახალი რამ სიკეთე არა შეემატნა-რა და უფრო მეტად არ გაძლიერებულიყო. გუშინდელმა აღლუმმა დაგვარწმუნა, რომ მხედრობას თავისი იმედი აქვს და ენდობა კიდეც თავის სარდლებსა. აი ეს აზრი ჩაგვაგონა იმ მშვენიერმა დღემ და მისი ტკბილი ხსოვნა ღრმად უნდა გვქონდეს გულში ჩამარხული“.

შვეიცარია. შვეიცარიაში, ამ თავისუფლების დიდად მოყვარე ქვეყანაში, მრავლად გაჩენილან ამ ბოლოს დროს ისეთი ნამუსზე ხელ-აღებულნი გულ-ხარბნი კაცნი, რომელნიც მრავლად ჰბეჭდავენ თურმე სხვა-და-სხვა ადამიანის გამრყვნელს რომანებსა და მოთხრობებს, შიგ სურათებ-ჩართულსა, და მუქთად ურიგებენ ხალხს, უფრო-კი მოსწავლე ახალგაზდობას და სკოლის პატარა შეგირდებს. შეგირდი წაიკითხავს ამისთანა მოთხრობას და, ცხადია, სურვილი დაებადება, რა მოჰყვება ბოლოს წაკითხულსაო, ახლა თითონ ჰყიდულობს მეორე წიგნსა, იმ პირველის განგრძობასა. ჰყიდულობს მით უფრო ადვილად, რომ თითო ამისთანა წიგნი 2 სუზე მეტი არა ღირს. ჰყიდულობს, კითხულობს და, რასაკვირველია, ყმაწვილობიდამვე ეჩვევა ათას უწმაწურობას, ადრე და მალე ერყვნება გული და ეწამლება გონება. ანგარი და ვარაუდი ნამუსზე ხელ-აღებულს კაცებს არ ატყუებს: მცირე წლოვანნები ეტანებიან ამ პილწს და გამრთობს ლიტერატურას და ამდიდრებენ ავის კაცების ჯიბეებს. ამ ბოროტების მოსასპობად შესდგა შვეიცარიაში საზოგადოებანი, რომელთაც აზრად აქვთ ჰბეჭდონ რიგიანი და უფრო გასართობი იაფი წიგნები, რომ ამათის გავრცელებით მოუკლას ხალისი ახალგაზდობას ავის წიგნების კითხვისა. მაგრამ სამწუხაროდ საზოგადოებანი ვერ ასრულებენ თავიანთ საქმეს რიგიანად: წევრნი მომეტებულ ნაწილად მღვდლები არიან, თვით კარგი და სასარგებლო, გამართობი წიგნები ვერ შეუდგენიათ და სასულიერო შინაარსის წიგნებით უნდათ იოლად წავიდნენო. რაკი ასეა საქმე, ფულსაც საკმაოდ ვერ შოულობენ და უფულოდ ხომ აბა რა გაკეთდებაო. საზოგადოებანი სცდილობენ მიიმხრონ როგორმე შვეიცარიის მთავრობა ამ უწმაწურის ლიტერატურის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამისთანებში შვეიცარიის მთავრობა ძალიან ფრთხილობს და იმ აზრისაა, რომ თავისუფლების შეზღუდვა რაშიც უნდა იყოს ბოლოსა და ბოლოს უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლოვო.

— ასევე მოიქცა შვეიცარიის მთავრობა მწვალებელთა შესახებ, რომელთაც რაღაც უცნაური სარწმუნოება მოუგონიათ, ჰქადაგობენ ხალხში, აგროვებენ ფულსა და შესაწირავს და ამ სახით ფცქვნიან ქვეყანას. აი ამ მწვალებლების გამო მიჰმართეს მთავრობას, მოუხერხეთ რამე ამ ვიღაც ფარისევლებსაო, მიიღეთ სასტიკი ღონის ძიებანი, რადგან ისინი მტერნი არიან მშვიდობიანობის და დამარღვეველნი წესიერებისაო, ანა არა და სულ აღუკრძალეთ შვეიცარიაში ყოფნაო.

შვეიცარიის მთავრობამ, საფედერაციო საბჭომ განიხილა ეს საქმე და გადასწყვიტა, რომ მაგათი დევნა, ან სრულიად განდევნა შვეიცარიიდამ შეუძლებელი საქმეაო. ჩვენი კონსტიტუცია მფარველობს მაგისთანა რელიგიურს საზოგადოებას, როგორიც არის „მხედრობა დახსნისა და ცხოვნებისაო“ (სალუტისტები). ჩვენთვის ეს საკმაოა. ოღონდ-კი წესიერებას ნუ დაარღვევს, და თავისუფალია, როგორც უნდა, ისე ჰქადაგოს თვისი სარწმუნოება, კანონი კიდევაც უნდა იფარავდეს, რომ თავისუფლად იმოქმედოსო. ფედერაციის მთავრობას არ შეუძლიან სხვაფრივ განსაჯოს ეს საგანიო. რელიგიური თავისუფლება, ანუ ნება მისი, რომ ვისაც როგორც უნდა და რაც უნდა, ის ირწმუნოს, და ვისაც უნდა, იმას ეთაყვანოს საჯაროდ და გამოცხადებით, დიდი შეძენაა ამ ჩვენის ახალის დროებისაო. ეს თავისუფლება ერთი უმთავრესი ბურჯია ჩვენის საფედერაციო კონსტიტუციისაო. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ, მართალია, თავისუფლება სარწმუნოებისა კონსტიტუციაში-კია დამტკიცებული, მაგრამ ჯერ ძვალსა და რბილში-კი არა გვქონია გამჯდარი. ყველა თავ-გამოდებული თხოულობს თავისთვის ნებას, მინდა ვირწმუნებ, მინდა არაო, მაგრამ ყველა ასევე თავ-გამოდებული არ არის, პატივის-ცემით მოექცეს სხვის ამ გვარსავე სურვილსა, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდებით, რამდენადაც კონსტიტუცია გვაძლევს ამის ნებას, დავიცვათ პრინციპი რელიგიურის თავისუფლებისა და ყველას ვაიძულებთ პატივისცეს ამ პრინციპს მთელს შვეიცარიაშიო.

## წვრილი ამბები

ინგლისში გამოსცადეს ჰაერით მსროლელი ზარბაზანი, რომელიც იქაურს მთავრობას ამერიკელ ზღვის ხუროთმოძღვარის ზალინსკისათვის შეუკვეთნა. პირობა ისეთი იყო დადებული, რომ ზალინსკის მიერ მოწყობილ ზარბაზანს ხუთი ფუთის წონა ტყვია სამს ვერსზე უნდა ესროლა, მაგრამ, როგორც გამოცდამ აღმოაჩინა, ამის მაგიერად, ცამეტის ფუთის წონას $4^{1}/_{10}$ ვერსზედ ისვროდა.

— ლონდონში იყიდება ახლა ერთნაირი „სიყვარულის ქაღალდი“. ეს ქაღალდი იმით განსხვავდება უბრალო საფოსტო ქაღალდისაგან, რომ ერთგან ორი გული ჰხატია, ორივე ლახვარ-დასობილი; ამ სურათს მხოლოდ მაშინ შენიშნავთ, თუ მზისკენ უყურებთ პირი ქაღალდს. ქაღალდის ერთს კუთხეში რაღაცა განგებ დასმული „კოცნის დაღია“, კეთილ-სურნელოვანის გუმმით გაკეთებული, რომელზედაც დაკონება ტუჩისათვის ფრიად სასიამოვნოა. საყვარელი თავის ტუჩებს ამ დაღს დააწებებს და მერე, როდესაც წერილს თავის გულის სატრფოს გაუგზავნის, ამით აცნობებს, რომ ჩემს გულთან ერთად კოცნასაც გიგზავნიო.

— ნიუ-იორკში სასამართლოს ერთი ახირებული საჩივარი გაურჩევია. ეს საჩივარი შეუტანია ქ-ნს სტელლა ვესტონს, უჩივის პროტესტანტების მღვდელს ბ-ნ ვესტონს და სასამართლოს სთხოვს, რომ ეს კაცი თავიდგან მომაშორეთო: რვაჯერ დაიწერა ჩემზედ ჯვარი და რვაჯერვე განმექორწინა; თუ ცოლად ვუნდივარ, რაღაზე მეყრება, თუ არა-და, რატომ აღარ დამეთხოვებაო. ახლაც განქორწინებული ვართ, მაგრამ ისევე ჩამცივებია, აღარ მეშვება, უთუოდ უნდა

---

წუკს უგულობა უმაგრებს ძირს და უმკვიდრებს ფესვებს და ეს არის სამწუხარო, ეს არის სავალალო. ქართველს ქართულზედ გული აცრუებული აქვს. თავისი არა მოსწონს-რა, თავი თვისი მთელის ერის შვილად არ მიაჩნია, დავიწყებული აქვს ის ჭეშმარიტება, რომ ერი ზღვაა და ყოველი ადამიანი ცალკე წვეთი, ამ ზღვაში მოქცეული. აბა რა ხეირი დაეყრება თვით ძლიერს ზღვასაც-კი, რომ წვეთები განშორდნენ ერთმანეთს და ზოგმა ალთას დაიწყოს წევა, ზოგმა ბალთას. არაფერი, იმის მეტი, რომ ყოველს ცალკე დარჩენილს წვეთს ან მიწა შეიშრობს, ან მზის გული და სულ ერთიანად მოეღება ბოლო იმ ძლიერს გოლიათს, რომელიც უშველებელს ხომალდებს თითისტარივითა და ნაფოტივით ათამაშებს თავის ზვირთებზედ და რომელსაც ჯერ ვერა გამაგრებია-რა. რა ჰქმნის ისე უძლეველად თვით ზღვასაც-კი, თუ არ ყოველის წვეთის ერთობა, ერთ-სულ და ერთ-გულ ყოფა, თუ არ ტალღას ტალღას უკან ხელი, ერთმანეთის მიყოლა და ერთი საერთო გზა და კვალი?!

დიაღ, ერთობის არ-ქონაა ჩვენი გამათახსირებელი, უგულობაა. და ან როგორ იგულებს ის გული, რომელიც ქართულს ტაფაზედ არ არის გამომცხვარი, ქართულ ნანას ხმაზედ არ გამოზრდილა, და რომელსაც ქართულის ენისა და ერის სიყვარული არა აქვს გარშემო ფარად შემოხვეული? რა სიყვარული ექნება იმ ადამიანს თავის ერისა და ქვეყნისა, რომელსაც ქართული ენა და საქართველოს სიყვარული მშობლის მუცლიდგანვე ქუდ-ზედად არ დაჰყოლია, დედის ძუძუსთანვე არა აქვს ჩაწვეთებული. ან საიდგან უნდა ჩააწვეთოს ეს სიყვარული ქართველმა დედამ, როცა თითონაც არა მოეძევება-რა, თითონაც უკულმართად არის აღზრდილი და თითონაც უკადრისობს ყოველსავე მშობლიურს.

უსწავლელი ქართველი ქალი რას ასწავლის თავისს შვილს, როცა თითონ არა იცის-რა, და ნასწავლს-კი... ღმერთო, გვაშორე, ღმერთო, გვაშორე!.. ნასწავლმა ქართულისა და ქართველობისა ისე არა იცის-რა, როგორც ჩვენ ჩინური და ჰოტენტოტური, სძულს კიდეც დუხჭირად აღზრდისა და განათლების გამო სამშობლო ენა და მთელს დღე-ღამეს ფრანგულ-ჩიქორთულის ქლურტულში ატარებს. აგერ ქართულის დედათა სასწავლებლის დაარსება მოიწადინეს და ესეც ჯერ კიდევ ჰოჰინშია, დაარსების მსურველებმა იმდენი თანამგრძნობელი ვერ იპოვნეს, რომ ხუთიოდე გროშისათვის მოეყარათ თავი და განზრახული საქმედ ექციათ. ვინ იცის, ეღირსება-კი როდისმე ქართველს ძუძუმწოვარას ნამდვილი ქართველი დედა, ქართულად აღზრდილი და ყოველისავე ქართულის არა მეუკადრისე!

დიაღ, ერთობა არ არის და ან საიდგან იქნება, როცა თითოეულადაც ძნელია ჭეშმარიტის ადამიანისა, მოქალაქისა, თავისის მამულის სიყვარულით გულ-გამჭვალულ-აძგერებულისა, თავის ერის უბედურებით დამწუხარებულისა და იმის ბედნიერებით გაღიმებულის ქართველის პოვნა? სადაც ერთი ძნელი მოსაძებნია, იქ ბევრს რა ეშმაკი გააჩენს? სადაც გული არ არის, საკვირველია, რომ იქ ყოველი საქმე თავიდგანვე დაკუტებული იყოს, საპკარად ქცეული და ერთს ალაგას ეგდოს უმოძრაოდ, წინ ვერ მიდიოდეს, წარმატების გზაზედ ხოხვაც-კი ვერ შეეძლოს?!

საიდგან იქნება ერთობა, როცა ყოველი ჩვენგანი ბოდბელად გადაქცეულა და ცხოვრების მთავარ მცნებად გაუხდია იმისი ადამიანის არა-საკადრისი მოძღვრება, რომ თუ მე არა ვარ, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო; ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და შემადი—ძაღლსაო??

აი აქა აქვს თავი ამოფარებული ჩვენს საერთო წყლულსა და მუწუკს და უკურნებელიც იქნება იგი, ვიდრე ყველა არ გამოფხიზლდება, ერთმანეთს არ მისცემს მხარს, ვიდრე მოქალაქე, თავის ერისა და ქვეყნის ავ-კარგიანობის ჭეშმარიტად გულ-შემატკივარი ქართველი არ დაიბადება, ვიდრე ყველა ჩვენგანი არ შეიგნობს, რომ მარტოდ-მარტო, უსხვებოდ, თითონ არარაა და მხოლოდ მაშინ შეიძლებს ადამიანი ბედნიერებას, თუ იმის ერის ვარსკვლავი ძლიერადა ჰნათობს და ჰკაშკაშებს და თუ იმასაც იმ ვარსკვლავის სხივი ათბობს და აცისკროვნებს.

ჩვენის უგულობის, უერთობის, და ამის მიზეზით გათახსირების დასასურათებლად და თვალ-საჩინოდ აღსანიშნავად შემდეგს ფელეტონში ერთის ჩვენსავით მცირე ერის ცხოვრებას გავაცნობთ მკითხველებს და დეე, ყოველმა იქ სარკესავით დაინახოს, რომ ერი, კაცთა კრებული, ყველაფრის შემძლებელია, თუ გული გულობს. თაგვის პაწია წრუწუნაც-კი ხომ გამოუთხრის ხოლმე უშველებელს მთას ძირს. იმ ფელეტონით ყველა დარწმუნდება, რა შესძლებია თავის ერის სიყვარულს, სამშობლოსათვის გულის ტკივილსა და ერთობას...

ო.რ.ი.ნ.

შეგირთოო. ქალის გულის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, სუსტია და ადვილად გასასაზიარებელი, და მეც მეშინიან, კიდევ არ შემაცდინოს და არ გადამიბიროსო. ვთხოვ ამიტომ სასამართლოს, რომ თითონ განმათავისუფლოს ამ კაივაგლახისაგან და ამაშოროს თავიდგან განსაცდელიო.

— ახირებულ საპყრობილეში მომწყვდეულა ამას წინად ერთი ჩინელი კაცი. ჩინელს, რომელსაც თავის ხელ ფეხის მეტი არა აბადია-რა, აღკრძალული აქვს ამერიკის ჩრდილო შტატებში ცხოვრება. ამიტომ ვიღაც ჩინელი მუნ-ღი, რომელსაც არავითარი საშუალება ცხოვრებისა არ მოუძებნებოდა, შეერთებულ შტატების მთავრობამ დაიჭირა, რესპუბლიკის საზღვარს იქით გადასვა და მერე ღვთის ანაბარად დასტოვა. მშიერ-მწყურვალმა ჩინელმა იქიდგან განადაში წასვლა დააპირა, მაგრამ, როდესაც ამ ქვეყნის საზღვარს მოუახლოვდა, ხიდზე გასასვლელი ბაჟი მოსთხოვეს. საწყალ დურს ჩინელს აბა თითონ რა ჰქონდა და ხიდის დარაჯს რას მისცემდა. უკან დაბრუნება-კი, რასაკვირველია, აღარ შეეძლო, ამიტომ ხიდზე მოუმწყვდია, იტრიალა აქეთ-იქით, ხიდის ერთის ბოლოდგან მეორემდე, და, ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ წყალს იქით გზა აღარა მაქვსო, ადგა და წყალში გადავარდა.

— სტენლის, ქორწილის დროს, ედისონისაგან სამი ფონოგრაფი მოსვლია. ფონოგრაფებში ყველაფერი უნდა აღინიშნოს, რაც ქორწილის დროს მოხდება, ზარის რეკა, სიმღერა, მუსიკა, ლაპარაკი და საზოგადოდ მთლად ქორწილის ამბავი, რომ მერე, მოხუცებულობის დროს, ცოლ-ქმარს ისევ შეეძლოთ, როცა მოინდომებენ, თავიანთი ბედნიერი დღე ნათლად წარმოიდგინონ და სიყმაწვილის სიტკბოება გვლავ გაიხსენიონ ხოლმეო.

— ტუნისის სოფელ ტუბურზუკში ერთს მდიდარსა და პატივცემულს მაჰმადიანს ლი-ხაგ-ახმედს ჭარამხანა ჰქონდა გამართული. ერთხელ, როდესაც ახმედმა ჭარამხანა ნახა, ვიღაც უცნობი ქალი დახვდა თურმე. ახმედი ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა, უნდოდა შეეტყო იმ სტუმრის ვინაობა და ლაპარაკი დაუწყო, მაგრამ ქალი მხოლოდ მუნჯურად ანიშნებდა რაღასაც და ხმას არ იღებდა. ცოლებმა დაარწმუნეს ახმედი, რომ საბრალო ქალი შვილოსნობით დამუნჯდა და გაუბედურდაო და ჩვენთან იმიტომ დაიარება, რომ კანუგეშოთ და მოწყალება მივცეთო. ახმედმაც შეიწყალა უცნობი სტუმარი, ცოლებსაც დაუმადლა ასეთი გულ-ღმობიერება და თითონაც კარგად ექცეოდა, რადგანაც მტკიცედ აღმასრულებელი იყო ყურანის სწავლისა, რომ ნუგეში ეცით ყოველს უბედურსა და გაჭირვებულსაო. ახმედმა ეს ამბავი ერთხელ ერთს თავის მეგობარს უთხრა. ამან მალიან მოიწონა ახმედის სულგრძელება, მაგრამ ისიც მოაგონა, რომ ნეტავ შეიტყობდე, იმ მუნჯ ქალს შენი ცოლები რას ელაპარაკებიან ხოლმეო. ეს სიტყვები ახმედის გულს ისარივით მოხვდა, ცოტა ეჭვი შეუვიდა და მართლაც თვალ-ყურის დევნება დააპირა ჭარამხანას ირგვლივ დასამალავი ადგილები ბევრი აქვს დატანებული, რომ ეჭვიანს ქმარს ადვილად შეეძლოს ცოლების ლაპარაკისა და ქცევის შეტყობა. გულის მგერით ელოდა სტუმარს. ბევრი ცდაც არ დასჭირდა, მალე თავ-შებურვილი სტუმარიც გამოჩნდა და, შეალო თუ არა კარები, ხმა-მაღლა, გაჟღერებულის ხმით მიესალმა ქალებს: „სელიამ ალეჰკიუმ!“ საბურავი მოიხსნა. ახმედის თვალებს ლამაზი, მშვენიერად გამოწყობილი ახალგაზდა კეთილშობილი ოსმალო წარმოუდგა. ახმედი საშინელმა გულის-წყრომამ აიტანა და უნდოდა მაშინვე მივარდნოდა დაუპატიჟებელს სტუმარსა და თავის ცოლებს, მაგრამ თავი შეიკავა, ჯერ დავიცდი, ვნახოთ, რას იქმონენო. გამოჩნდა თუ არა ახალგაზდა ყმაწვილი, ქალები აღტაცებით მიეგებნენ. აგერ ახალგაზდამ ტუჩი-ტუჩს მიაწება ახმედის ერთს უფრო მშვენიერისს ცოლს და სტკბებიან სიყვარულის ტკბილის ნექტარით, მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ ეს ბედნიერება. გაბრაზიანებული ახმედი თავის ბასრის ხანჯლით შევარდა ჭარამხანაში, ყმაწვილ კაცთან მიიჭრა და ხანჯალი შემოუქნია, მაგრამ მკვირცხლმა ყმაწვილმა ხანჯალი აიცდინა, ხელიდგან გაუსხლტა და გარეთ გავარდა. გაშმაგებული ახმედი ქალებს დაერია და სულ ყველა აკუწა, ასე რომ ოთახში სისხლის ტბა დააყენა. როცა გულის ჯავრი ამოიყარა, ახმედი თითონ გამოეცხადა სასამართლოს და ყველაფერი უამბო. ყველანი გაოცებით ელოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას. მალე საქმეც გადაწყდა და სასამართლომ დაადგინა, რომ, რადგანაც ცოლებმა ახმედის ოჯახის კერას ჩირქი მოაცხეს და თავისის-პატივცემულის ქმრის სახელი შებღალეს, ამიტომ ახმედს თავისი დანაშაული ეპატიოსო.

---

# დეპეშა

12 ივლისი

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ ინჟინერ მეხანიკოსის ორლოვსკის მიერ შედგენილს გეგმას ნიკოლაევიდგან პეტერეგოფსა და ჯანკის მხრით თეოდოსიამდის რკინის გზის გაყვანისას ხელ მეორედ ჰსინჯავენო. ამ გასინჯვაში სახელმწიფო ხუროთ-მოძღვრებიც იღებენ მონაწილეობასაო.

პარიჟი. ბარონესა მარია არტურის ასული მორენგეიმი, რუსეთის ელჩის ქალიშვილი, მე-25 ქვეითის პოლკის პარუჩიკს ბარონ დე-სეზიზედ დაინიშნა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივლისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ | მან. კ | მან. კ |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | | 6 77 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 135¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 12¼ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 227 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216½ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 212¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 100,62 |
| ქართული ბანკისა . . | — „ | — „ | 99¾ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 90 | | |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | 4½ კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | | | 3 „ |
| „ | 2 | „ | 2½ „ |
| თორნის წითელი პური 1-ის ხარ. | | | 5 „ |
| „ | 2 | „ | 3½ „ |
| „ | 3 | „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. | | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | | 4 „ |
| მე-3 — | | | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 8 „ |
| „ | 2 | „ | 7 „ |
| სუკი . . . . . . | | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . . . | | | „ „ |
| „ | 2 | „ | „ „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

# განცხადებანი

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება დართვით ისყიდება

საქალო ჰიგიენური ბალიშები

მომზადებული სულემით შეზავებულ ხის ბამბისაგან.




ძალიან მოხერხებული შემოსაკრავია მოწყობილის ქამრითურთ, ქალთა სახმარებლად რიგის დროს და მშობიარობის შემდეგ.

თორმეტი ცალი ბალიში ღირს 1 მან.

ქამრის ფასია 40 კაპ.—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება მოსკოვისა და პეტერბურგის ყველა სააფთიაქო და სადოსტაქრო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობია

ალექსანდრე ვენცელთან,

ს.-პეტერბურგს, ეკატერინეს უბანში, 26; მოსკოვს, კუზნაია სადოვაია, მალინინის სახლებში.

სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ ჩვენი ფირმა გასინჯოთ ყუთზედ.

(8—2)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველის, მეორის და მესამე კლასისთვის, რეალურ სასწავლებლის პირველ კლასისთვის და კორპუსისათვის. ქართულ ენას გარდა, სკოლის პროგრამმა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამმას.

მომავალ ენკენისთვისათვის სკოლაში არის პანსიონერებისთვის და გარეშე მოსიარულეთათვის სულ 86 ვაკანსია: პირველ განყოფილებაში—39, მეორეში განყოფილებაში—10, მესამე განყოფილებაში—7, მეოთხე განყოფილებაში—10, პირველ კლასში—10, და მეორე კლასშიაც—10.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მხოლოდ 19 ვაკანსია არის, რომელთაგან ხუთი საზოგადოების სრულს ხარჯზედ არის და თოთხმეტი საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ. ამ ხუთს ვაკანსიაში ერთი არის გორის მაზრის ღარიბ თავად-აზნაურთათვის, ერთი ტფილისის და დუშეთის მაზრებისათვის და სამი სიღნაღის მაზრისთვის.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, ის არასფერს არ იხდის; ნახევარ ხარჯზედ მიღებულს-კი გადახდება წელიწადში ათი თუმანი.

შენიშნვა: ნახევარ ხარჯზედ მიიღებიან ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრების თავად-აზნაურთა შვილები;

გარდა ამისა პანსიონში მიიღებიან თავის საკუთარს სრულს ხარჯზედ მსურველნი, რომელთაც წელიწადში ოც-ოცი თუმანი უნდა გადიხადონ.

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები | | | არა უმეტეს 8 წლისა. |
| მეორე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 9 წლისა. |
| მესამე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 10 წლისა. |
| მეოთხე განყოფილებაში | „ | „ | არა უმეტეს 11 წლისა. |
| პირველს კლასში | „ | „ | არა უმეტეს 12 წლისა. |
| მეორე კლასში | „ | „ | არა უმეტეს 13 წლისა. |

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა, რომ ის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშლისაგან სიღარიბის მოწმობა. ესვე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზე შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღითგან გამოცხადებისა პირველ სექტემბრამდის შემდეგის ადრესით: Въ Тифлисскій Дворянскій Земельный Банкъ для передачи въ Распорядительный Комитетъ Тифлисской Дворянской Школы.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება პირველს სექტემბერს და გაგრძელდება ხუთ სექტემბრამდის.

სკოლა მომავალ ენკენისთვეს გადადის ლაბორატორიის ქუჩაზედ გურგენბეკოვის სახლში, სადაც ამ ჟამად ქალების ინსტიტუტი იმყოფება.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანათია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერიც მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, მათი შვილები რიგიანად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და საწერი ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობლეთაგანი ტფილისში არ სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერ ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება ასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა, რომელსაც თავდებობს. (3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 13-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.